https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.17

ხის კულტი ჰერეთის მკვიდრთა ცნობიერებაში (ახალი ფოლკლორული მასალების მიხედვით)

TREE CULT IN THE CONSCIOUSNESS OF THE INHABITANTS OF HERETI (BASED ON THE NEW FOLKLORE MATERIALS)

ნაილე მიქელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო
მარიამ პაპიაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Naile Mikeladze
Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia
Mariam Papiashvili
Tbel Abuserisdze Educational University
of the Patriarchate of Georgia
Batumi, Georgia

ABSTRACT

The proposed article discusses the materials preserved in historical Hereti, which were recorded among the populations of Alibeglo and Karamesha villages in the Qakh district. The paper includes stories and legends that are deemed noteworthy and interesting. These stories are important for the advancement of the historiography and for promoting cultural awareness within the Georgian people. The inhabitants of Hereti have successfully maintained the beliefs and traditions passed down from their ancestors, in spite of past misfortunes. It is worth emphasizing the special reverence for "sacred items" and saints that we encounter in their corpus of memories, mirroring the identical attitude found in common Georgian folklore.

Therefore, the folklore materials preserved in the consciousness of local residents resonate with common Georgian materials, affirming that Hereti has always been an integral part of Georgia.

Overall, there has been limited research on the above-mentioned materials. We believe that researchers will find them intriguing and worthy of further exploration.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფოლკლორი, ჰერეთის ფოლკლორი, ხის თაყვანისცემა, რწმენა-წარმოდგენები.
Keywords: Georgian folklore, Hereti folklore, tree worship, beliefs.

ისტორიული ჰერეთი ოდითგანვე კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. არაგვისა და მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს ისტორიულად კახეთი, კუხეთი და ჰერეთი ერქვა. ვახუშტი ბატონიშვილი „**აღწერა სამეფოსა საქართველოსაში**“ წერს: „ხოლო ქუეყნისა ამისა სახელნი არიან სამნი: რამეთუ ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თჳსთა შორის წილად ხუდა ქუეყანა და დაიპყრა საზღვარი თჳსი, ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ, შემდგომად ქართლოსისა სუკუდილისასა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქუეყანა და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ჴევი, ვიდრე კავკასამდე“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 523). ვახუშტი ბატონიშვილის ჩანაწერით ცნობილი ხდება, რომ ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ქართველები ცხოვრობდნენ.

ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხებში წერდა: „მეტად საინტერესო ცნობებია დაცული ქართლის ცხოვრებაში, რომელშიც საუბარია ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდზე, კერძოდ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობის შესახებ. იმ პერიოდისათვის ჰერეთში ორი სხვადასხვა დროისა და წარმოშობის ინფორმაცია არსებობს. XI საუკუნის მწერალი ამბობს, რომ ჰერეთი ვახტანგის სახელმწიფოში ერთ-ერთი საერისთავო იყო (ანასეული ქცა, ჯუანშერი, 125), ხოლო მეორე მწერალი (ანონიმი) აღნიშნავს, რომ VIII საუკუნეში ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (წუქეთს) ისხდნენ „მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფეს წუქეთი“ (ბერძენიშვილი 1966: 253-254). ამასთან დაკავშირებით მკვლევარი თენგიზ პაპუაშვილი თავის ნაშრომში „საინგილოს ისტორიის ნარკვევებში'' წერს: „ახ. წ I-II საუკუნებიდან“ ჰერეთი მტკიცედ არის შემოსული ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში (პაპუაშვილი 2013: 25-26). ამავე აზრს იზიარებს მეცნიერი გიორგი ჩანგაშვილი წიგნში „საინგილო“: ,,საინგილო უძველეს დროში წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილს. ჰერეთი საქართველოს პოლიტიკურად ერწყმოდა, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და მის ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა. ამ ფაქტს კარგად ადასტურებს დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე შემონახული VI-VII საუკუნეების ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები'' (ჩანგაშვილი 1970: 4).

XV საუკუნიდან სახელწოდება „ჰერეთი'' ქრება პოლიტიკური ნომენკლატურიდან და მთელ ტერიტორიას, მდინარე არაგვიდან მოყოლებული მდინარე გიშისწყლამდე, კახეთი ეწოდა. XVIII საუკუნეში კი, როცა ლეკების გაბატონება იწყება, ირანისა და თურქეთის დახმარებით ადგილობრივი მცხოვრებნი, ქართველთა დიდი ნაწილი, გაამაჰმადიანეს. გამაჰმადიანებულებს „ახლად მორჯულებულნი'' უწოდეს, საიდანაც წარმოსდგება სახელწოდება „ინგილო'', ამ მხარეს კი „საინგილო'' დაერქვა (ჩანგაშვილი 1970: 4-5).

ისტორიულად კახეთს კუხეთი და ჰერეთი ერქვა. კერძოდ, კახეთი ჩრდილო ნაწილს ერქვა, კუხეთი – დასავლეთს, ხოლო ჰერეთი – აღმოსავლეთს. ტერმინი „კუხეთი“ VIII-IX საუკუნეებში გაქრა, ხოლო „ჰერეთის'' ხმარება XV საუკუნიდან წყდება, საბოლოოდ მთლიან მხარეს

კახეთი ეწოდა. ჰერეთი ყოველთვის რჩებოდა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ჰერეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. ამ დროს მოხდა მისი კულტურულ-ეკონომიკური აღზევება; დაარსდა მთელი რიგი ქალაქები, საეკლესიო კათედრები და აშენდა ეკლესია-მონასტრები. VIII-XI საუკუნეებში ჰერეთი პოლიტიკურად დამოუკიდებელია, ხოლო XI საუკუნიდან იგი კახთა და რანთა სამეფოს ნაწილი ხდება. ამ დროს კახთა და რანთა მეფეა კვირიკე III დიდი. მის სახელს უკავშირდება სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობა და საერისთავოებად დაყოფა. სულ შვიდი საერისთავო იყო, აქედან ოთხი უშუალოდ ჰერეთის – **ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჭისა და შტორის** – დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე. აქვე მდებარეობდა მაჭის საერისთავოც. დავით აღმაშენებლის მეფობიდან XV საუკუნემდე ჰერეთი ერთიანი ქართული სამეფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა დაშლამდე. XV საუკუნიდან იგი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედის და წყდება ტერმინ „ჰერეთის'' გამოყენებაც. ამ დროს უქმდება საერისთავოები და სამეფო იყოფა სამოურავოებად (http://www.ambioni.ge/saingilo).

საქართველოს აღმოსავლეთი კედლის მოშლის შემდეგ ლეკებს ხელ-ფეხი გაეხსნათ თარეშისათვის. ისინი ამის შემდგომ უფრო ღრმად იჭრებოდნენ ქართულ ტერიტორიებზე... ლეკთა თვითნებობას ბოლო 1830 წლის 17 თებერვალს მოეღო, როდესაც გენერალი პასკევიჩი ჯარით დაიძრა ჭარ-ბელაქნისკენ და სრულიად დაიკავა იგი. შემდგომ იმპერიის ხელისუფლებამ გააუქმა ჭარ-ბელაქნის პოლიტიკური შეუვალობა, ასევე ელისეს სასულთნო და მათ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქნის ოლქი. ამის მიუხედავად, ქართველთა სასარგებლოდ არაფერი მომხდარა. არც მიწები განთავისუფლდა ლეკებისგან, არც ქრისტიანობის აღდგენა მოხდა. 1840 წელს ჭარ-ბელაქნის ოლქი, ბელაქნის მაზრად წოდებული, საქართველო-იმერეთის გუბერნიას შეუერთდა, თუმცა 1842 წელს იგი გამოყვეს და ჭარ-ბელაქნის ოლქი უწოდეს. ამ უკანასკნელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე იარსება, ხოლო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ის საქართველოს შემადგენლობაში შევიდა 1921 წლის 15 ნოებრამდე. 1921 წლის 5 ივლისს თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც განიხილეს სასაზღვრო ზოლის საკითხი, იმავე წლის 15 ნოემბერს კი საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარემ და აზერბაიჯანის სსრ-ის იმავე უწყების თავჯდომარემ. ამ შეთანხმებით ზაქათლის ოლქი, რომელიც ყოფილი ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი იყო, აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ბედი ერგო საქართველოს ისტორიულ კუთხეს – ჰერეთს. დღეს ის საზღვრის გადაღმა მდებარეობს. ისტორიულ ჰერეთს ერთხელ მაინც თუ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ აქ ქართული სული არ ჩამკვდარა და იქ აგიზგიზებული ქართველების გული ისევ დუღს, რომლებიც თავგამოდებით, სისხლის ფასად იცავდნენ და იცავენ სამშობლოს, რომელიც მის მშობლიურ ქვეყანას მოწყვეტილია, იმ საზღვრის

მიღმა სულ სხვანაირი სიო უბერავს და იქ საქართველოს სუნი იგრძნობა (http://www.ambioni.ge/saingilo).

დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ, ჰერეთში ცხოვრობენ ქართველები, რომლებიც ინარჩუნებენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. მიუხედავად იქ არსებული რელიგიური მდგომარეობისა, ქართველებს ახსოვთ და პატივს სცემენ წინაპრისეულ ტრადიციებს. მათ შორის ერთ-ერთია ხის თაყვანისცემა.

ისტორიულად ცნობილია, რომ „წარმართ ქართველთა სააზროვნო სისტემაში დიდი ადგილი ეკავა საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. „მოქცევაი ქართლისაის“ ტექსტის მიხედვით, წარმართი ქართველები სხვადასხვა ჯიშის ხეებს აღმერთებდნენ: „და იტყოდეს დამბადებლად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჭედილსა, ღმრთად თავყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად” (მოქცევაჲ ქართლისაჲ 1964: 120). როგორც ჩანს, ადამიანის მიერ არჩეულ საგნებიდან ერთ-ერთს ძელი წარმოადგენდა.

საქართველოში ხის კულტის შესახებ ცნობები დაცულია როგორც საერო ხასიათის, ასევე სასულიერო ჟანრის თხზულებებში. ხის თაყვანისცემის შესასწავლად განსაკუთრებით დიდია ხალხურ ყოფა-ცხოვრებაში შემორჩენილი როგორც ზეპირი გადმოცემების, ასევე სარიტუალო წეს-ჩვეულებების როლი.

მნიშვნელოვანი ცნობები ხის კულტის შესახებ უძველესმა საისტორიო წყაროებმა, ხალხში გავრცელებულმა ზნე-ჩვეულებებმა, უძველესმა მითებმა თუ თქმულებებმა შემოგვინახეს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც შევხვდებით ასწლოვან მცენარეებს, სადაც ხალხი ლოცულობს და სანთელს ანთებს. ხის კულტი და მისდამი თაყვანისცემა ყველაზე გავრცელებული რწმენაა ძველი ცივილიზაციების შემქმნელი ხალხების წარმართულ რელიგიასა და მითოსში. ხის თაყვანისცემის რიტუალები გვხდება საკულტო რიტუალებში. მთაში სალოცავი ხის დარგვა და მისი მოვლა-გახარება უფრო მნიშვნელოვან საკულტო რიტუალად იყო მიჩნეული, ვიდრე ცხოველის შეწირვა. ასეთ წმინდა ხეებს „ხემხვიანები“ ეწოდებოდა. „ხემხვიანი“ ანუ ნაყოფიერების სიცოცხლის მიმნიჭებელი მითოლოგიური ხის სიმბოლოა და ამიტომაც რგავდნენ ხატის კარზე. ხის კულტის ელემენტს შეიცავს „კეზი“. ხევსურების სახლის თავზე ან ჭურის თავზე მდგარი რცხილა, რომელიც „ანგელოზების საბრძანებელია“ (სურგულაძე 1986: 150) ან „გურული ჩიჩილაკი“ – ქართველების მსოფლიო ხის უძველესი სიმბოლო (ზარდაველიძე 1941: 76) და სხვა მრავალი.

საკულტო რიტუალების გარდა, ხის თაყვანისცემის გადმონაშთს ვხვდებით ყოფით ცხოვრებაშიც – ავადმყოფის ტაბლაზე, ქრისტიანული დანიშნულების სალოცავებსა და მის ფასადებზე.

ქართული მასალების მიხედვით, ალვა // ალვისხე იყო სიცოცხლის ხე, მშვენიერი და სურნელოვანი, რომელიც სამოთხეში იდგა და რომლის ნაყოფის დაგემოვნება ადამმა ვერ მოასწრო. „ვით ალვა ედემს რგულია“, – ვკითხულობთ ,,ვეფხისტყაოსანში“. ალვის ხეს იმ სასწაულებრივი წმიდა ხის მიმსგავსებით შეერქვა ეს სახელი. ერთი ლექსის თანახმად, ალვის ხე წვერში ყურძენს ისხამს, რომლის გემება ყოველგვარი უბედურებისაგან

იცავს ადამიანს. აი, ეს ლექსიც, რომელიც მრავალი ვარიანტით არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში:

„ჩვენი ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო,
წვერზე მოუსხამს ყურძენი,
საჭმელად ჩამოსულაო.
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულაო“.

ამ ლექსში მოთოლოგიურად არის გადმოცემული ქრისტიანული რელიგიის მთავარი საიდუმლო – ზიარება. ჩვენი ბატონი უფალი იესო ქრისტეა, მისი კარი – მისი ეკლესია, ალვად ამოსული ხე – საღვთო ლიტურგია, ყურძენი – ქრისტეს სისხლი, მისი უჭმელი ანუ უზიარებელი ქალ-ვაჟი კი – ევა და ადამი, რომელთაც ვერ მოასწრეს სიცოცხლის ხის ნაყოფის გემება და დაკარგეს უკვდავება, მარადიული სიცოცხლე. მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი და კვლევა არსებობს ხეთა თაყვანისცემისა და მისი დანიშნულების შესახებ. საქართველოში სალოცავებისა და ხატების გარშემო ოდითგანვე მრავლად არსებობდა საკრალური ტყეები, რომლებიც წმიდა და შეუვალი იყო. ისინი ტაძრებისა და ღვთის კუთვნილებად ითვლებოდა. სამლოცველოს გარშემო ხის დარგვას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მისთვის შეწირული ცხოველის დაკვლას. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმიდა ხეებად ითვლებოდა: მუხა, იფანი, ცაცხვი, ტირიფი, ვაზი და სხვა (ხაზარაძე... 1988: 170).

ხის სიმბოლიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში. ჰერეთის მკვიდრნი ისტორიული ჰერეთის გადარჩენაში ხის კულტს, ქლიავის ხეს, ემადლიერებოდნენ. მათი აზრით, ამ მითის საფუძველზე შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. მოთხრობის მიხედვითაც და ლეგენდის თანახმადაც, „ინგილო ქალი ქლიავის ხეზეა ასული და იქიდან გადმოაყრის ქლიავს მეფეს. მათი გადმოცემით, ინგილო ქალმა ერთგვარად გამოაფხიზლა მეფე, შეახსენა, რომ აუცილებელი იყო თვითმყოფადობის შენარჩუნება. შესაბამისად, მას სპარსული ქუდი არ უნდა ეტარებინა. ჰერეთის მოსახლეობა დღემდე პატივს სცემს ამ ხეს და თვლიან, რომ ქლიავის ხის მოჭრა ცოდვაა. მათი რწმენით, რომ არა ამ ხეზე ამძვრალი გოგონა, ალბათ მეფესაც არ გაუჩნდებოდა ეჭვი, არ დაფიქრდებოდა, რომ მისდა უნებლიედ სპარსული პოლიტიკის გამტარებელი გამოდიოდა.. ჰერელებს სჯერათ, რომ ქლიავის ხემ და ქლიავმა გადაარჩინა მეფე და საქართველო გასპარსელებას“ (პაპიაშვილი 2023: 3). ხალხურ სიტყვიერებაში ხშირად ვხვდებით ანაქრონიზმებს, თუმცა ლეგენდები მეტ-ნაკლებად საფუძველს ისტორიული რეალობიდან იღებს.

ჰერეთში ხეებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ჰერელები თვლიან, რომ ხის მოჭრა ყველაზე დიდი ცოდვაა და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ხე არ მოჭრან, რადგან მასში უფლის ძალას ხედავენ. ჰერეთში ხესთან დაკავშირებით არაერთი ტრადიციაა დაცული. კერძოდ, აღდგომამდე ორი კვირით ადრე, კვირა დღეს სახლის უფროსი მამაკაცი ადგება დილით ისე, რომ ოჯახის არცერთ წევრს არ დაელაპარაკება, აიღებს ცულს ხელში

და მიდის იმ ხის მოსაჭრელად, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მოსავალს აღარ იძლეოდა. ამ დროს გამოდის ოჯახის დიასახლისი და ხის მოსაჭრელად მომზადებულ კაცს მიაძახებს: „არ მოჭრა, მოისხამსო''. კაცს გადააფიქრებინებს მოჭრას. მართლაც, ეს ხე არცერთ წელს აღარ იქნება ნაყოფის გარეშე. ამ დღეს „უმძრახობას'' ეძახიან, რადგან სანამ ეს რიტუალი არ ჩატარდება, კაცი კაცს არ დაელაპარაკება, ხმას არ გასცემს და უძრახად არის.

ჰერელებს სჯერათ, რომ ხე ყველაზე წმინდა მცენარეა. მან უდიდესი როლი შეასრულა რელიგიურად გადარჩენის საქმეში, რადგან მტერმა რამდენჯერაც დაანგრია ეკლესია-მონასტრები, იმდენჯერ უშველებელი ხე ამოდიოდა იმ ადგილას და მტერს არ აძლევდა საშუალებას, ის ადგილი გაეპარტახებინა. წმინდა ადგილი სახელს ინარჩუნებდა. მათგან ერთ-ერთია კახის რაიონში მდებარე წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, რომელიც მტერმა დაანგრია და მის ადგილას სხვა რამის აშენება მოინდომა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა. აქ ერთ ღამეში იზრდებოდა ხე, რომელსაც ერთი ფესვი ჰქონდა და სამი ხე ერთმანეთზე იყო მიბჯენილი. ამ ხეს რამდენჯერაც მოჭრიდნენ, იმდენჯერ ახალი ამოდიოდა და ბოლოს თავი დაანებეს. მიხვდნენ, რომ რამეს ვერ გახდებოდნენ. ეს ხეები დღესაც მედგრად დგას და მომლოცველები დღესასწაულებზე მოილოცავენ. უამრავმა წელმა ჩაიარა, ხოლო ხეებს კი არაფერი ეტყობათ, ინარჩუნებენ სინორჩენს. მის გარშემო ქვები აწყვია, რომელიც ეკლესიის დანგრევის დროს გადარჩა. ეკლესიის დანგრევის დროს ერთმა სათნო და ღვთის მოშიშმა ქალბატონმა ეკლესიის ნივთები თავის სახლში გადამალა. ჰერეთში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობა დღესასწულებზე მიდის „წმინდა ხეებთან" და ჩუმად მიაგებს პატივს. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

ჰერეთი, 2023 წ.[1]

[1] სურათი მომაწოდა სოფელ კახის მკვიდრმა ვასილ პაპიაშვილმა

ვ. ბარდაველიძის მიხედვით, საქართველოში ხის სხვადასხვა სახეობის თაყვანისცემა სათავეს იღებს ტომობრივი ცხოვრების დროიდან, როდესაც ხეები წარმოადგენდნენ ტომის ტოტემურ მცენარეებს, ისინი შემდგომ სათაყვანებელ არსებებად იყვნენ მიჩნეულნი. ამას გარდა, იყო რწმენა ხის შესახებ, რომლის თანახმადაც, ხეები მოიაზრებოდნენ ადამიანის მსგავს ცოცხალ არსებებად (ბარდაველიძე 1974: 10).

შესაძლოა, ჰერელთა მეხსიერებაში უძველესმა რწმენა-წარმოდგენებმა იჩინა თავი, ხოლო გამოხატულება შემდეგ ტრადიციაში ჰპოვა.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარაშიც არსებოდა ეკლესია-მონასტრების ტყეები. ამას ადასტურებს წარმოდგენილი ტოპონიმები: ხატიტყე, ხატიმამული, ბეთლემის ტყე და სხვა (ჭიჭინაძე 1913: 120-121). ქედის რაიონის გეოგრაფიული ადგილი ბეთლემი წმინდათაწმინდა ადგილად ითვლებოდა, მასზე არაერთი თქმულება-გადმოცემაა შემონახული. გადმოცემის მიხედვით, ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში მყოფი არათუ ხის მოჭრა, არამედ იქ მყოფი ნადირის მოკვლაც კი იკრძალებოდა (მიქელაძე... 2015: 2).

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში მარადმწვანე ურთხელის კულტის არსებობაც დასტურდება. ამ ხეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ; რაჭაში, ლეჩხუმ-იმერეთსა და გურიაში მას ურთხმელა ეწოდება, აჭარაში (ზოგიერთ რაიონში) – მადა, ქართლში – ურთხელი, სამეგრელოში – ურთხელი, ფშავში – უთხოვარი (ხაზარაძე... 1988: 171). ხეთა თაყვანისცემის ტრადიცია უკავშირდება მისგან დამზადებულ ნივთსაც, კერძოდ, „წმინდა კიდობანს“, რომელიც თავისუფლება, სამშობლოდაკარგული ქართველების ტკივილსა და მოგონებებთან ასოცირდება. ჰერელების წარმოდგენაში წმინდა კიდობანს დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შესაძლოა, ჰერელების სიწმინდე, წმინდა კიდობანი „საღვთო ხისგან“ ურთხელისგან იყო დამზადებული.

ბიბლიაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ წმინდა ხეა ურთხელი. ის თავად უფლის რჩეულად გაცხადებული მცენარეა, რომელშიც წმინდა მღვდელმსახურება უნდა აღესრულოს. ძველ აღთქმაში წერია: „1. გააკეთე სამსხვერპლო საკმევად; ურთხელისგან გააკეთე იგი. 2. სიგრძით ერთი წყრთა და სიგანით ერთი წყრთა; ოთხკუთხედი უნდა იყოს; სიმაღლე ორი წყრთა ჰქონდეს, რქები უნდა გამოდიოდეს მისგან. 3. ხალასი ოქროთი მოჭედე იგი, მისი სახურავი, გარშემო კედლები და რქები. ოქროს გვირგვინი შემოავლე ირგვლივ. 4. ორი ოქროს რგოლი გაუკეთე გვირგვინს ქვემოთ ორსავე გვერდზე, ორსავე მხარეს გაუკეთე. კეტების გასაყრელად იყოს, რომ მისი ტარება შეიძლებოდეს. 5. კეტები ურთხელისგან გააკეთე და ოქროთი მოჭედე. 6. დადგი იგი კრეტსაბმელის წინ, მოწმობის კიდობნის პირდაპირ რომ არის; სახურავის წინ, მოწმობის კიდობანს რომ ახურავს, სადაც მე გამოგეცხადებით. 7. აკმიოს მასზე აარონმა სურნელოვანი საკმეველი; აკმიოს იგი დილაობით, როცა ლამპრებს გაამზადებს. 8. როცა აანთებს აარონი ლამპრებს საღამოხანს, აკმიოს საკმეველი. ეს იყოს მუდმივსაკმევად უფლის წინაშე თაობიდან თაობაში“ (გამ. 30, 1-8).

ისტორიულმა წარსულმა გადაფარა არქაული შრეების მეხსიერება, თუმცა მათ არქეტიპში მაინც რჩება პატივგება წმინდა ხისადმი ან მისგან

დამზადებულ ნივთისადმი. ჰერელთა სააზროვნო სისტემაში, წარმოდგენაში რჩება წმინდა კიდობანი, რომლითაც მოსემ ათი მცნება ჩამოიტანა, ან კიდევ ის, რომ კიდობანზე აღესრულებოდა წმინდა ღვთისმსახურებაც. ჰერელების ტრაგიკულმა ხვედრმა შთანთქა ქრისტიანული რელიგიის სიწმინდეები, მაგრამ მათ მეხსიერებას ნაკლულად მაინც შემორჩა ძირძველი რწმენის საგნებისადმი პატივისცემა.

მათი გადმოცემით, „ეს ის კიდობანია, რომელიც გადამალეს ეკლესიის განადგურების შემდგომ, მოსახლეობა ფარულად მიდიოდა გადამალულ საეკლესიო ნივთებთან და მასთან ერთად ამ კიდობანსაც მიაგებდა პატივს. გადარჩენილმა ქართულმა მოსახლეობამ განადგურებული ეკლესიების ხატები, წმინდა წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები სახლებში გადაიტანა და ფარულად გააგრძელა ქრისტიანული რიტუალების შესრულება. მართლაც, სასწაული გახლდათ ის, რომ მტერმა, მკაცრი ყოველდღიური კონტროლის მიუხედავად, ასეთი სამლოცველოების აღმოჩენა და მისი განადგურება ვერ შეძლო. ხსენებული სამლოცველოები ფაქტიურად მოქმედი ეკლესიის ფუნქციას ასრულებდა. ისინი ფარულად იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ, ანთებდნენ სანთლებს და ღმერთს გადარჩენას შესთხოვდნენ. კიდობნები ხალხს ღმერთთან, ეკლესიასა და წარსულთან ჰქონდა გაიგივებული“ (პაპიაშვილი 2023: 3).

კმევის, მსხვერპლთშეწირვის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ჯერ კიდევ საუბარია „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანში“, სადაც მოთხრობილია უფლის რჩეულის – ნოეს გადარჩენის ამბავი წარღვნისას. მაშინ, როდესაც უფლის რჩეული ნოე წარღვნას გადაურჩა, უფლის დანარიგები პირნათლად შეასრულა და დარწმუნდა იმაში, რომ წარღვნა დამთავრებული იყო... „ნათესაობისაებრ მათისა გამოვიდეს კიდობნისაგან და აღუშენა ნოე საკურთხეველი ღმერთსა და მოიღო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა და ყოვალთაგან მფრინველთა წმიდათა და ყოველთაგან ფრინველთა წმიდათა და შეწირნა იგინი ყოვლათ ნაყოფებად საკურთხეველსა ზედა. და იყნოსა უფალმან ღმერთმან სული სურნელებისა და თქუა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არღარა შევსძინო მერმედ წყევად ქუეყანისა საქმეთათვს კაცთასა, რამეთუ შეყოფილ არს მომგონებლობა კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა და სიჭაბუკითგან მისით” (წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი 1989: 82).

საინტერესოა ჰერეთში მცხოვრები ივანე ბულუღაშვილის ისტორია. ის პირველი იყო, ვინც XIX საუკუნეში ქრისტიანობა მიიღო. იგი 1850 წელს

სხვა ქართველებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და მოინათლა. ივანე ბულუღაშვილის საფლავი სწორედაც იმ წმინდა ხის – კვიპროსის ძირშია, რომელთაც მოსახლეობა წმინდა ხეებად აღიარებს. მისი საფლავის გვერდით ორი სასწაულმოქმედი ხე დგას, რომელზედაც საინტერესო ისტორიას ყვებიან: „ხე შუაზეა გადახლეჩილი. ერთი ნახევარი თაღისებურად დახრილია ივანე ბულუღაშვილის საფლავთან“. ლეგენდაში მნიშვნელოვანია ივანეს ღვთისრჩეულობა: „ერთხელ ივანეს ღრმა ძილით სძინებია ერთი კვირის განმავლობაში. სიზმრად მას ანგელოზი გამოცხადებია და ნათლისღებისკენ მოუწოდებია: „განსპეტაკდი, ვითარცა წვერი შენიო“. როცა გაიღვიძა ივანემ, წვერი მართლაც გასთეთრებოდა. ირწმუნა ანგელოზის გამოცხადება. ფეხით ჩავიდა და მოინათლა კახში. დაბრუნებულს მეორედ ესიზმრა ანგელოზი და დავალება მიიღო, რომ დანგრეული ეკლესია უნდა აღედგინა. ივანემ ეს დავალებაც პირნათლად შეასრულა. მესამე გამოცხადებისას ანგელოზმა უთხრა ივანეს, რომ ეკლესიის ეზოში სამი ხე აღმოცენდებოდა, რაც წმინდა სამებას განასახიერებდა. ბევრს არ სჯეროდა ივანესი და ეწინააღმდეგებოდნენ, რელიგიურად სდევნიდნენ. გარკვეული ხნის მერე კვიპროსის ხის გვერდით აღმოცენდა ორი ხე, რომლის მსგავსიც არ მოიძებნებოდა არემარეში. როცა ივანე გარდაიცვალა, იგი კვიპაროსის ხესთან დაასაფლავეს. ერთხელ გიორგობის წინა საღამოს მოულოდნელად ცა მოიღუშა, დაიწყო ჭექა-ქუხილი და წვიმა. შუაღამისას თითქოს ცა გაიხსნა. ირგვლივ ყველაფერი განათდა. ციდან ცეცხლი გადმოეშვა და ერთ-ერთ ხეს დაეცა. ხე შუაზე გაიყო, ნახევარი მლოცველივით საფლავის წინ დაიხარა, ნახევარი კი სანთელივით იწვოდა. ჰერეთში სჯერათ, რომ თავად ხეებიც კი ქედს იხრიან წმინდანების წინაშე.

სურათზე: ივანე ბულუღაშვილის საფლავი და წმინდა ხე

ჰერელების რწმენა მტკიცე და შეუვალია. მათ სჯერათ და სწამთ უფლის დიდებისა და იმისაც, რომ საქართველო გამთლიანდება, გაერთიანდება და ისეთივე ძლიერი იქნება, როგორიც თამარისა და დავით აღმაშენებლის დროს იყო.

მკვლევართა მოსაზრებებით, წარმართული სარწმუნოების სიმბოლოები – სიცოცხლის ხე და ჯვარი – ქრისტიანულ სარწმუნოებას თავისი მოძღვრების გადმოსაცემად წარმართული რელიგიიდან უსესხებია, რის შედეგადაც ხე და ჯვარი მოგვევლინა ადრექრისტიანულ სიმბოლიკებად, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ჰერეთში, დრო-ჟამისა და ბედუკუღმართი ისტორიის მიუხედავად, მუსულმანური წეს-ჩვეულებებთან ერთად დღესაც სრულდება ქრისტიანული რიტუალები. ადგილობრივი ჰერელები ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ წინაპრისეულ (ქრისტიანულ) წეს-ჩვეულებებს, რომელთაც თავისი თავდაპირველი სახე დაკარგული აქვთ, ფუნქცია და დანიშნულება კი – შენარჩუნებული. აქაურთა წეს-ჩვეულებები დღესაც იდენტურია ბიბლიური წეს-ჩვეულებებისა.

ამრიგად, ჰერეთის მოსახლეობაში გვხვდება როგორც წინაქრისტიანული რწმენის სააზროვნო ელემენტები, ასევე ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, რომელთაც თვითმყოფადი სახე და რელიგიური დანიშნულება შენარჩუნებული აქვთ. მსგავსი თქმულებათა ციკლი ერთხელ კიდევ ეხმიანება ზოგადქართულ ტრადიციებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბარდაველიძე 1974: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1974.

ბატონიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება. ტომი IV, თბილისი, 1973.

ბერძენიშვილი 1966: ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, III. თბილისი, 1966.

ბიბლია 1989: ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. მათეს სახარება. თბილისი, 1989.

მიქელაძე... 2015: მიქელაძე ნ., ჩელებაძე ნ., ტოპონიმ „ბეთლემის" გენეზისი აჭარის ფოლკლორში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ჟურნალი – ჩვენი სულიერების ბალავარი,VII, თბილისი, 2015.

მიქელაძე 2015: მიქელაძე ნ., ხის (ურთხელის) კულტი აჭარის ფოლკლორში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, V, თბილისი, 2015.

მოქცევაი ქართლისაი 1964: მოქცევაი ქართლისაი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964.

პაპიაშვილი 2023: ექსპედიციის დღიური №1, 2023.

პაპუაშვილი 2013: პაპუაშვილი თ., საინგილოს ისტორიის ნარკვევები: საქართველოს აღდგომისა და გამოხსნისთვის ბრძოლა კაკელისენის გამო. თბილისი, 2013.

ჩანგაშვილი 1970: ჩანგაშვილი გ., საინგილო, გეოგრაფიულ-ისტორიული ნარკვევი. თბილისი, 1970.

წიგნნი ძველისა აღთქუმისანი 1989: წიგნნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1, შესაქმისაი გამოსლვათაი. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. თბილისი, 1989.

ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზ., მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913.

ხაზარაძე... 1988: ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები (ეია - ურთხელი). მნათობი, 1988, №2.

http://www.ambioni.ge/saingilo დამოწმება: 13.03.2023.

http://www.ambioni.ge/saingilo დამოწმება: 13.03.2023.